



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40

ქ.ბათუმი

30/04/2018

40-06-4-201804301246



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების
მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად
თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017
წლის 27 დეკემბრის № 132 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 27 დეკემბრის № 132 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს ყოველთვიურად საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების სატელეფონო ანგარიშებზე სათანადო თანხების ჩარიცხვა თანდართული დანართის შესაბამისად.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს (ნ. ბერიძე).
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე